კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და ვლეხთა მთავრობისა.

1929 წლის ივლისის 1.	№ 12 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 98. „ა/კსფსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა და აგრეთვე ა/კსფსრ უწყებების განკარგულებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის დროის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. თებერვლის 28-ს დადგენილების დამატების შესახებ.

„ 99. სარეწაო კოოპერაციაში დაქირავებული შრომისა და შეგირდების შრომის გამოყენების შესახებ.

„ 100. დირექტივები ა/კსფსრ მრეწველობის 1929-30 საკონტროლო ციფრების შედგენისათვის.

„ 101. შრომისა და სოციალური დაზღვევის ორგანოების მომუშავეთა მომზადებისა და ხელახალი მომზადების ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

98. „ა/კსფსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა და აგრეთვე ა/კსფსრ უწყებების განკარგულებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის დროის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. თებერვლის 28-ს დადგენილების დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ა/კსფსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა და აგრეთვე ა/კსფსრ უწყებების განკარგულებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის დროის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. თებერვლის 28-ს დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-რი, მუხ. 384) მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნა:

„**შენიშვნა.** 1-ლ მუხლში აღნიშნული გამოსაქვეყნებელი დადგენილებების ის ნაწილი, რაც შეიცავს დავალებას და დირექტივს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა, ა/კსფსრ-ის ორგანოთა, ორგანიზაციათა და კერძო პირთა მიმართ, ძალაში შედის მათთვის — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ოქმის სათანადო ამონაწერის მიღების მომენტიდან იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს ამონაწერი უფრო ადრე იქნება მიღებული, ვიდრე 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი გამოცემანი, რომლებშიაც გამოქვეყნებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ზემოხსენებული დადგენილებანი.“

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1929 წ. ივნისის 10. ტფილისი—სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 139 №-ში 1929 წ. ივნისის 21-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

99. სარეწაო კოოპერაციაში დაქირავებული შრომისა და შეგირდების შრომის გამოყენების წესის შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მაისის 11-ს დადგენილებით (სსრ კან. კრ. 1927 წ. 26 №-რი, მუხ. 279 და 280) დამტკიცებული „სარეწაო კოოპერაციის დებულების“ მე-8, 13 და 14 მუხლების თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სარეწაო კოოპერატიულ ამხანაგობას დაქირავებული შრომის გამოყენება შეუძლიან მხოლოდ იმ დამხმარე სამუშაოთა შესასრულებლად, რაც ამ ამხანაგობის წარმოებითი მოქმედების საგანს არ შეადგენს, აგრეთვე ისეთი სამუშაოს შესასრულებლად, რომელიც სპეციალურ ცოდნას საჭიროებს, ხოლო იმ პირობით, რომ დაქირავებით მომუშავეთა რიცხვი არ აღემატებოდეს ამხანაგობის წევრთა საერთო რიცხვის 20 პროცენტს.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მრეგისტრავ ორგანოებს შეიძლება ნება დაერთოს განსაკუთრებულ შემთხვევაში დროებით გამოიყენონ დაქირავებული შრომა აგრეთვე წარმოების ძირითად პროცესშიაც იმ ვადით და იმ რაოდენობით, რაც აღნიშნულია ნებართვაში.

2. სარეწაო კოოპერატიულ ამხანაგობას უფლება აქვს იყოლიოს შეგირდები როგორც ამხანაგობის საერთო წარმოებაში, ისე სახლში ცალკეულ წევრებთან იმ რაოდენობით, რაც განსაზღვრულია განსაკუთრებული კანონით სარეწაო კოოპერაციაში შეგირდების ყოლის შესახებ.

შეგირდები მთლად იმ პერიოდის განმავლობაში, რაც ისინი შეგირდებად იქნებიან აღნიშნული კანონით დაწესებული ფარგლისამებრ, არ ჩაირიცხებიან ამა დადგენილების 1-ლი მუხლით განსაზღვრულ დაქირავებულ მუშათა ნორმაში.

3. შრომის კანონმდებლობის ნორმები ვრცელდება მხოლოდ სარეწაო კოოპერაციის საერთო სახელოსნოში და საწარმოში მუშაობაზე და მხოლოდ წარმოებითი სანიტარიისა, ჰიგიენისა და ტეხნიკური უშიშროების მხრით, აგრეთვე ქალთა და არასრულწლოვანთა შრომის დაცვის მხრით.

ამხანაგობის წევრთა სამუშაო დღის ხანგრძლიობა განისაზღვრება საერთო კრებისა ან გამგეობის სათანადო დადგენილებით.

შენიშვნა. იმ პირებზე, რომელნიც ამხანაგობაში დაქირავებით მუშაობენ, შრომის კანონმდებლობის ნორმები ვრცელდება მთლად, რაიმე გამონაკლისის გარეშე.

4. წინადადება ეძლევა ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებთან და სარეწაო კოოპერაციის საბჭოსთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია საერთო სახელოსნოებში ამხანაგობათა წევრების მუშაობისათვის შრომის ნორმების შეფარდების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1929 წ. ივნისის 10. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 139 №-ში 1929 წ ივნისის 21-ს.

ბრძანება ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი.

1929 წ. ივნისის 20.

100. დირექტივები ა/კსფსრ მრეწველობის 1929—30 წ. საკონტ-კონტროლო ციფრების შედგენისათვის.

ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების ქვემდებარე მრეწველობამ, 1929—30 წლის საკონტროლო ციფრების შედგენის დროს, სახელმძღვანელოდ უნდა მიიღოს გაზეთ „ტორგ.-პრომ. გაზეტა"-ს 125 №-ში ა/წ. ივნისის 4-ს გამოქვეყნებული სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დირექტიკები, რაც შეეხება მრეწველობის ტეხნიკური რეკონსტრუქციისა და რაციონალიზაციისა, შრომისა, უცხოეთის ტეხნიკური დახმარების გამოყენებისა, სათბობი მასალის მომარაგების ორგანიზაციისა და იმპორტის ეკონომიისა და რაციონალიზაციისათვის მისაღებ ღონისძიებათ.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ზემოაღნიშნული დირექტივები შეთანხმებულია სსრკ-ის მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო მიზნებთან.

ამ დირექტივებთან ერთად, საკონტროლო ციფრების შედგენის დროს, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ მრეწველობის განვითარების ზოგიერთი განსაკუთრებული თვისებანი.

იღებს-რა ამას მხედველობაში, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო წინადადებას აძლევს რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებსა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ქვემდებარე მრეწველობას, სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დირექტივებთან ერთად, 1929-30 წლის საკონტროლო ციფრების შედგენის დროს, სახელმძღვანელოდ მიიღონ შემდეგი დამატებითი დირექტივები:

1. ა/კსფსრ-ის სამთო სიმდიდრეთ —მადანმა, ლითონმა და დიდი ძალოვნების წყლის ენერგიამ—უზრუნველჰყვეს ის, რომ საპერსპექტივო გეგმაში მიღებულ იქნა სამთო, სამთო-ქიმიური, სამეტალურგო და მინერალური წარმოშობის საშენი მასალის მრეწველობის ფართო განვითარება. მაგრამ აქამდე ძიებლობა შეეხო ამიერკავსიის წიაღთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს და მადნები და ლითონები სულ მცირედ არის გამოკვლეული. 1929-30 წლის საკონტროლო ციფრებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მაქსიმალურად განსახორციელებელი გეოლოგიურ-საძიებლო, საკვლევო და საცდელ სამუშაოთა მოცულობა, რაც უზრუნველჰყოფს არა მარტო ხუთწლიან გეგმაში აღნიშნულ სამთო, სამეტალურგო, საქიმიო და საშენი მასალის საწარმოთა გაფართოებას და აგებას, არამედ მრეწველობის ამ დარგების ახალი ობიექტების გამორკვევას, განსაკუთრებით ფერად ლითონთა მადნეულობისა.

2. ა/კსფსრ მრეწველობის არანაკლებ მნიშვნელოვანი სარაიონო საკითხია აგრეთვე ნიადაგისა და კლიმატიური პირობების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ნედლეულობის (ბამბა, კენაფი, აბრეშ. პარკი და სხვ.) პირველადი დამუშავების შემდგომი განვითარებისათვის, რათა ამით გაძლირებულ იქნეს სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის მოეწველობის სანედლეულო ბაზა. ამ მიზნის განხორციელება შეიძლება მხოლოდ ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის სათანადოდ მომზადების პირობებში. საჭიროა მრეწველობამ, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და კოოპერაციის მიერ განზრახულ ღონისძიებებთან სრული დაკავშირებით, გაითვალისწინოს, საკონტროლო ციფრების შედგენის დროს, იმ აგრიკულტურულ სამუშაოთა საკმარისი მოცულობა, რაც უზრუნველჰყოფს როგორც სოფლის მეურნეობის ნედლეულობის გადამმუშავებელი დარგების გეგმების განხორციელებას 1929-30 წელს, ისე ამ დარგების შემდგომ განვითირებას.

3. ამასთან ერთად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ა/კსფსრ დამმუშავებელი მრეწველობის შემდგომი განვითარება ადგილობრივი ნედლეულის ფუძეზე, რათა ეს ნედლეული გადამუშავდეს საბოლოო პროდუქტამდე მეურნეობითი მიზანშეწონილობის ფარგლებში; ამასთანავე, ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს სსრკ-ში მრეწველობის სათანადო დარგების უკვე მომქმედ საწარმოთა მოთხოვნილებანი ნედლეულობისადმი.

ხოლო მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს, რომ ა/კსფსრ-ში მრეწველობის ზოგიერთი დარგი, რაც სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ნედლეულობის ფუძეს ემყარება (ტყავისა, მაუდისა, საპნისა, აბრეშუმის ხვევისა და სხვ.), ახლაც გაჭირვებას განიცდის შინაწარმოების ნედლეულობის მიწოდების მხრით; ამის გამო 1929-30 წ. საკონტროლო ციფრების შედგენის დროს სათვალავში მიღებულ უნდა იქნეს სათანადო სახის ნედლეულთა დეფიციტიანობა და მრეწველობის ამ დარგთა გაშლის ტემპი უნდა შეეფარდოს მიმდინარე და უახლოესი წლების ნედლეულობის რესსურსებს.

4. ნავთის პროდუქტებისა და შავიქვის ექსპორტის შემდგომ განვითარებასთან ერთად ა/კსფსრ მრეწველობის ორგანოებმა უნდა იზრუნონ სამრეწველო ექსპორტის სხვაგვარი სახის წარმოების ყოველმხრივი განვითარებისათვისათვის (ტყე, საშენი მასალა, ქიმიკალი, გემო-ჭამის პროდუქტები და სხვ.). 1929-30 წლის საკონტროლო ციფრებში სათანადო გამოხატულება უნდა ჰპოვოს იმ ღონისძიებებმა, რაც მიმართულ იქნება აღნიშნულ წარმოებათა პროდუქციის სასწრაფო გამრავლებისათვის, სამრეწველო ექსპორტის თვისების უცხოეთის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოვებისათვის და საექსპორტო საქონლის თვითღირებულების შემცირებისათვის.

5. საექრპორტო გეგმაში ნაგულისხმევი ამიერკავკასიის ფართო სამრეწველო განვითარება განსაკუთრებული აქტუალობით წინა რიგებში აყენებს სარაციონალიზატორო სამუშაოთა და სამრეწველო სტანდარტიზაციის სამუშაოთა მნიშვნელობას მასსიურ წარმოებაზე გადასვლისათვის, თვითღირებულების შემამცირებელი მუშაობის გაძლიერებისათვის და პროდუქციის თვისების გაუმჯობესებისათვის.

ხოლო აქამდე ა/კსფსრ მრეწველობაში რაციონალიზატორული მუშაობის განვითარებას ახასიათებდა მეტისმეტად მძიმე ტემპი, ზოგიერთ დარგებში ხომ ეს მუშაობა სრულიადაც არა სჩანდა.

ამის გამო 1929-30 წ. საკონტროლო ციფრებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მაქსიმალური მოცულობის რაციონალიზატორულ სამუშაოთა განხორციელება, რაც სრულის სავსებით უნდა შეესაბამებოდეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ სახელმძღვანელოდ მოცემულ რაციონალიზატორულ სამუშაოთა კლასიფიკატორს, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური საკანტროლო კომისიის მე-3 პლენუმის დადგენილებებსა და სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 747 და 914 №№-ბის ბრძანებებს.

6. რადგანაც ა/კსფსრ-ში თითქმის უკანასკნელ დრომდე არ არსებობდა მისი ნედლეულობისა და მისივე ენერგეტიულ შესაძლებლობათა შესაფერი მრეწველობა (გარდა ნავთისა, შავიქვისა, სპილენძისა და ზოგიერთი სხვ.)—ამის გამო ა/კსფსრ-ის ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს ამიერკავკასიის სამრეწველო მშენებლობაში ისეთი ტემპის აღებას, რაც თვალსაჩინოდ უნდა აღემატებოდეს საერთო-საკავშირო ტემპს.

სწორედ ეს ახასიათებს მრეწველობის დიდ მოთხოვნებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებისას, რაც თანდათან უფრო და უფრო იზრდება. 1929-30 წლის საკონტროლო ციფრების შედგენის დროს სათვალავში მიღებულ უნდა იქნეს ეს გარემოება და თანაც ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შეზღუდული შესაძლებლობანი. ამისდამიხედვით, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ტრესტების შინა-რესურსების მაქსიმალური მობილიზაცია, კაპიტალის სწრაფი ბრუნვა და საკუთარი დანაგროვი სახსარის გამოყენება, და ყველა ამის შედეგი უნდა იყოს—სახელმწიფო ბიუჯეტისადმი მისაქცევ მოთხოვნათა აუცილებელ საჭირო მინიმუმამდე შეზღუდვა. ამასთანავე, 1929-30 წლის საკონტროლო ციფრების შედგენის დროს, კაპიტალურ სამუშაოთათვის საჭირო დაფინანსების სათვალავში მიღებასთან ერთად, აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც უკვე მომქმედ საწარმოთა, ისე 1929-30 წელს ექსპლოატაციაში გასაშვებ საწარმოთა უზრუნველყოფა საჭირო საბრუნავი სახსარით, ნაწილობრივ—სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო ნაწილობრივ მოკლევადიანი საბანკო და კომერციული კრედიტებიდან და საკუთარი დანაგროვი სახსარიდან.

7. რადგანაც ამიერკავკასიის მრეწველობა ვითარდება უპირატესად ახალ სამრეწველო რაიონებში, სადაც საცხოვრებელი სადგომები ან სრულიად არ არის, ან თუ არის, ძალიან მცირე საცხოვრებელი სივრცით, საჭიროა, 1929-30 წ. საკონტროლო ციფრების შედგენის დროს, სათანადო შემთხვევაში, საწარმოო შენობათა და გაწყობილობის ხარჯებთან ერთად, გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე საბინაო მშენებლობისა და საზოგადოებრივი სარგებლობის შენობების (აბანო, კლუბი, ბავშვთა ბაგა და სხვ.) აგებისათვის საჭირო ხარჯები, თანაც ისეთი ანგარიშით, რომ ექსპლოატაციაში ახლად გასაშვებ საწარმოთა მუშები ამხრივ სრულიად უზრუნველყოფილ იქნენ. ხოლო, ამასთანავე, ასეთი მშენებლობა აუცილებლად დაკავშირებულ უნდა იქნეს აღმასრულებელი კომიტეტების საერთო-სამოქალაქო მშენებლობასთან.

8. სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს იმ დირექტივის განსავითარებლად, რომელიც პარაფინისებურ მაზუთზე გადასვლასა და ადგილობრივი სათბობი მასალის მოხმარებას ეხება, საჭიროა, 1929-30 წ. საკონტროლო ციფრების შედგენის დროს, გათვალისწინებულ იქნეს მრეწველობის მიერ მაქსიმალურად მიზანშესაწონი რაოდენობით ტყიბულის ქვანახშირის გამოყენება.

9. პროდუქციის მოცულობისა, კაპიტალურ სამუშაოებისა, დაფინანსებისა, შრომისა, თვითღირებულებისა და ფასების 1929-30 წ. ლიმიტები მოწოდებულ იქნება დამატებით ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ.

ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდომარე **გენკინი.**

საგეგმო-ეკონომიური სამმართველოს უფროსის **ალამალოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 140 №-ში 1929 წ. ივნისის 22-ს.

დადგენილება № 138 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

101. შრომისა და სოციალური დაზღვევის ორგანოების მომუშავეთა მომზადებისა და ხელახალი მომზადების ღონისძიებათა შესახებ.

შრომისა და სოციალური დაზღვევის ორგანოების მომუშავეთა—კერძოდ, შრომის ინსპექციის კადრების,—მომზადებისა და ხელახალი მომზადებისათვის—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს განახოციელოს მის მიერ შემუშავებული გეგმა შრომისა და სოციალური დაზღვევის მომუშავეთა მომზადებისა და ხელახალი მომზადების კურსების მოწყობისათვის ისეთი ანგარიშით, რომ კურსებმა არა უგვიანეს 1929-30 საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის გამოუშვან 90 კაცი. ამ საქმის მოწყობისათვის საჭირო ასიგნები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს,—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით,—

მიიღოს ღონისძიება, რათა სასწავლო წლის დაწყებიდან ფართოდ იქნეს გაშლილი ტეხნიკურ სასწავლებლებში უშიშროების ტეხნიკის შესწავლა და გაძლიერდეს ამ საკითხების სპეციალისტების მომზადების საქმე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ივნისის 20. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 146 №-ში 1929 წ. ივნისის 29-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 1072. დაიბეჭდა 825.